ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №23

2015 წლის 20 მარტი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბენეფიციართა „გულის ქირურგიის თანადაფინანსების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბენეფიციართა „გულის ქირურგიის თანადაფინანსების პროგრამა“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
პროგრამა

1 პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)

გულის ქირურგიის თანადაფინანსების პროგრამა

2 პროგრამის საანგარიშო პერიოდი:

დაწყება: 01.04.2015წ. დასრულება: 31.12.2015წ.

3 პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

60 000 (სამოცი ათასი) ლარი

4 პროგრამის განმახორციელებელი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

5 პროგრამის ძირითადი მიზნები

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კარეგორიის მოსახლეობისათვის, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას, ფინანსური დახმარების გაწევა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება.

6 პროგრამის აღწერა და აქტუალობის დასაბუთება

საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. ასევე 2013წლის 1 ივლისიდან დაიწყო საყოველთაო ჯანდაცვის მეორე ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სპექტრის მომსახურეობას. მათ შორის, ასაკით პენსიონერი კარდიოქირურგიული პაციენტების მკურნალობის დაფინანსებას 90%-ით (165-ე დადგენილება). აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „გულის ქირურგიის ქვეპროგრამის" ფარგლებში 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს კარდიოქირურგიული ოპერაციები დაუფინანსდებათ ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფის 90%-ით, ხოლო ყველა სხვა მოქალაქეებს 80%-ით. მიუხედავად ამისა მოსახლეობის ნაწილს მცირე შემოსავლების გამო არა აქვს საშუალება დაფარონ იმ მომსახურების ხარჯი რომლებიც სრულად არ იფარება სხვადასხვა პროგრამებით. აქედან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას, თანადაფინანსების პროგრამა.

7

პროგრამის სტატუსი	ერთწლიანი		ახალი	

8

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები		
№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების დეტალური აღწერა

1	მატერიალური დახმარება კარდიოქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებისათვის (100 პირი)	მომსახურება გაეწევა ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2015წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 0- დან 200 000 ქულის ჩათვლით, შ.შ.მ პირებს, ომის ვეტერანებს, ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილეებს, ომში დაღუპულის ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები),მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს, ასაკით პენსიონერებს. მათ დაუფინანსდებათ მკურნალობა გარკვეული სქემის მიხედვით: ოპერაციის ღირებულების 80% ან 90% შეივსება დაავადების ძირითადი დამფინანსებლის მიერ დადგენილი ტარიფის 100%-მდე.

9

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების კალენდარი																
№	ღონისძიების დასახელება	მათ შორის თვეების მიხედვით:														
		მიმდინარე (მათ შორის გარდამავალი)												მიმდინარეს შემდგომი		
		01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12	01	02	...
1	ბენეფიციართა ოპერციული მკურნალობის თანადაფინანსება				X	X	X	X	X	X	X	X	X			

10

პროგრამის ბიუჯეტი წყაროების მიხედვით (ლარი)			
№	დაფინანსების წყარო	წილი (%)	სულ თანხა

ა	ადგილობრივი ბიუჯეტი	100%	60 000
ბ	სხვა	0%	0
ჯამი		100%	60 000

11

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარი);					
№	ღონისძიების დასახელება	გადასახდელების ეკონომიკური კატეგორია	სულ თანხა, მათ შორის:		
			გარდამავალი	მიმდინარე	მიმდინარეს შემდგომი
ა	ადგილობრივი ბიუჯეტი		0	60 000	0
1	ბენეფიციართა კარდიოქირურგიული მკურნალობის თანადაფინანსება	ხარჯები		60 000	
ბ	სხვა		0		0
...					
ჯამი			0	60 000	0

12

მოსალოდნელი შედეგები	
1	სწორი ტაქტიკის შემუშავება
2	მონაცემთა ბაზის შექმნა
3	მატერიალური მხარდაჭერა

13

შედეგების შეფასების კრიტერიუმები	
1	პროგრამაში მონაწილე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუჯობესება.
2	ბენეფიციართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება.
3	შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება.

14 საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შესყიდვები:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

15 **დამატებითი ინფორმაცია:**

პროგრამაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება გამგებლის სახელზე;
2. პირადობის მოწმობა;
3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N IV- 100/ა;
4. სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა სრული თანხის მითითებით;
5. ბენეფიციარის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. დაავადების ძირითადი დამფინანსებლის მიერ გაცემული მიმართვა (ვაუჩერი) მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მითითებით.

16 **თანადაფინანსების პრინციპი:**

წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე მუნიციპალიტეტი გააფორმებს ხელშეკრულებას მომსახურების გამწევ სამედიცინო დაწესებულებასთან.